



COVID-19 & Ethics | Staff Publication

სპეციალისტების გამოყენება კოვიდ-19-ის გარემოში

მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების აუდიტში სპეციალისტების
ჩართვასთან დაკავშირებული საკითხები

2020 წლის ოქტომბერი

სპეციალისტების გამოყენება კოვიდ-19-ის გარემოში

მათ შორის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში სპეციალისტების ჩართვასთან დაკავშირებული საკითხები

ამ დოკუმენტში მოცემულია მითითებები, რომლებიც ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტრებსა და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებს დაეხმარება იმის დადგენაში, აუცილებელია თუ არა სპეციალისტების მომსახურების გამოყენება დამოუკიდებელ ორგანიზაციაში სპეციფიკური დავალებების შესრულებასა და სხვა პროფესიულ საქმიანობაში დასახმარებლად, ასევე დამკვეთებისთვის მომსახურების გაწევისას კოვიდ-19-ის გარემოში.

პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთ იურისდიქციაში შეიძლება არსებობდეს ისეთი დებულებები, რომლებიც განსხვავდება პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსით (მათ შორის, დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (კოდექსი) დადგენილი დებულებებისგან, ან საერთოდ არ არსებობს ამ კოდექსში. ამგვარ იურისდიქციებში ბუღალტრებმა უნდა იცოდნენ ამ განსხვავებების შესახებ და დაიცვან მათ შორის უფრო მკაცრი დებულებები, თუ ეს კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

ეს დოკუმენტი შეიმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების სერტიფიცირებულ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ ბუღალტრთა ინსტიტუტის (AICPA) პერსონალმა სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით, რომელიც დაკომპლექტებული იყო ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (IESBA) და ავსტრალიის, კანადის, ჩინეთის, სამხრეთ აფრიკის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ეთიკის სტანდარტების დამდგენი ეროვნული ორგანოების (NSS) თანამშრომლებით.¹ სამუშაო ჯგუფისა და ბესს-ის პერსონალის გარდა, დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდნენ ასევე აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) თანამშრომლებიც.¹

სამუშაო ჯგუფს ევალება დანერგვისთვის საჭირო დამხმარე რესურსების შემუშავება, რაც პროფესიონალ ბუღალტრებს დაეხმარება კოდექსის ეფექტიანად გამოყენებაში კოვიდ-19-ის პანდემიით შექმნილ გარემოებებში.

ეს დოკუმენტი არც ცვლის და არც აუქმებს კოდექსს ან აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან ზემოაღნიშნული დოკუმენტების ტექსტი მიიჩნევა ერთადერთ ოფიციალურ ტექსტად. ამ დოკუმენტის გაცნობა არ არის არც კოდექსისა და არც აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გაცნობისა და გამოყენების შემცველი.

დანერგვის სახელმძღვანელო მითითებები არ არის ამომწურავი და ყოველთვის უნდა მიმართოთ კოდექსს ან IAASB-ის საერთაშორისო სტანდარტებს, საჭიროებისამებრ. ეს პუბლიკაცია არ არის AICPA-ის, IESBA-ის, IAASB-ის ან NSS-ის სხვა ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან.

შინაარსი

გვ. 4

[სპეციალისტის დახმარების დრო ხომ არ დადგა?](#)

გვ.5

[რისკის წინაშე დადგებით, თუ სპეციალისტს არ დაიქირავებთ?](#)

გვ. 6

[ეთიკის სტანდარტების დარღვევების თავიდან აცილება](#)

გვ. 7

[სპეციალისტების ჩართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში](#)

გვ.7

[გაიგეთ მეტი](#)

1. NSS მოიცავს ავსტრალიის პროფესიული და ეთიკის სტანდარტების საბჭოს, კანადის ნაფიკ პროფესიონალ ბუღალტრთა ორგანიზაციას, ჩინეთის ნაფიკ, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ ბუღალტრთა ინსტიტუტს, სამხრეთ აფრიკის აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელ დამოუკიდებელ ორგანოს, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ანგარიშგების საბჭოსა და აშშ-ის სერტიფიცირებულ, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ ბუღალტრთა ინსტიტუტს.

კოვიდ-19-ის პანდემიამ უპრეცედენტო პრობლემები შეუქმნა ბიზნესს/სამეურნეო სუბიექტებს და სხვა ორგანიზაციებს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ბუღალტრის პროფესიას. ობიექტურად აუცილებელი გახდა პროფესიონალი ბუღალტრების მუშაობის მეთოდებისა და სხვების სამუშაოს ზედამხედველობის მეთოდების ადაპტირება. გარემოს შეცვლის გამო, ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტრებსაც და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებსაც შესაძლოა მიმართონ განსხვავებული ტიპის დავალებებისა და მომსახურების შესრულების თხზვანით, იმასთან შედარებით, რომლის შესრულებასაც მიჩვეულნი იყვნენ პანდემიამდელ გარემოში და პროფესიონალ ბუღალტრებს მოუწევთ ადრინდელი მეთოდებისგან განსხვავებული მეთოდებით მუშაობა.

ამგვარი დავალებებიდან და მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება ეთიკის სტანდარტების დაცვას ისეთი ტიპის საფრთხეები შეექმნას, რომლებიც თავდაპირველად არ იყო გააზრებული და განხილული. გარდა ამისა, შეიძლება შეიცვალოს საფრთხეების დონეებიც, რომლებიც ბუღალტრმა ადრე გამოავლინა და შეაფასა. მაგალითად, ბუღალტრებმა, რომლებსაც უჭირთ კანონმდებლობაში კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შესულ ცვლილებებზე თვალყურის დევნება, შეიძლება ზეწოლა განიცადონ პროფესიული კომპეტენციის, ასევე სათანადო გულისხმიერებისა და პროფესიული ქცევის ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით. ის პროფესიონალი ბუღალტრები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ატარებენ, შეიძლება სხვა პრობლემებსაც წააწყდნენ, მათ შორის აუდიტორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულს.

ცვალებადმა გარემოებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სამუშაოს შესასრულებლად ბუღალტრების მიერ დაგეგმილ მიდგომაზე, აგრეთვე ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი, ადრე გამოვლენილი საფრთხეების დონეზე. მაგალითად, დისტანციურ სამუშაო გარემოში, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს, ბუღალტრის შეიძლება ხელი ადარ მიუწვდებოდეს სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად აუცილებელ რესურსებზე.


ამგვარ გარემოებებში შეიძლება აუცილებელი გახდეს, რომ ბუღალტრმა განიხილოს სპეციალისტის გამოყენების საჭიროების საკითხი, რომელიც დაეხმარება გარკვეული დავალებების ან გარიგებების შესრულებაში.



ტერმინი „სპეციალისტი“² აღნიშნავს ფიზიკურ პირს ან ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია ექსპერტული ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება ბუღალტრული ადრიცხვისა და აუდიტის გარდა სხვა სფეროში. ამ ცოდნის გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელობას ან გარე აუდიტორს. ამის მაგალითია რთული ფინანსური ინსტრუმენტების ან მიწისა და შენობა-ნაგებობების შეფასება, როდესაც ხელმძღვანელობას ან გარე აუდიტორს დასახმარებლად, სპეციალისტების სახით, შეუძლიათ შემფასებლების გამოყენება.



კოვიდ-19-ის პანდემიით განპირობებული გამოწვევები და პრობლემები არ ამცირებს პროფესიონალი ბუღალტრების ვალდებულებას, დაიცვან სათანადო პროფესიული სტანდარტები, მათ შორის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსი (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) და ეთიკისა და დამოუკიდებლობის სხვა შესაფერისი სტანდარტები, რომლებიც მათ იურისდიქციებში გამოიყენება.



2020 წლის მაისში ბესსს-ის პერსონალის მიერ გამოცემული დოკუმენტი, კითხვები და პასუხები – „კოვიდ-19: ეთიკისა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები“, მოიცავს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ კოვიდ-19-ის გავლენით შექმნილ გარემოში ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით. სხვასთან ერთად ეს დოკუმენტი:

- მოიცავს მითითებებს, რომლებიც ბუღალტრებს დაეხმარება ისეთ სიტუაციაში, როდესაც არანაირი დამცავი ზომა ხელმისაწვდომი აღარ არის;
- კონკრეტულად არის მითითებული, რა რეაგირება უნდა მოახდინონ ბუღალტრებმა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ზეწოლის შედეგად შექმნილ ეთიკურ დილემაზე; და
- აღწერილია გარემოებები, როდესაც ფირმას შეუძლია თავისი აუდიტის დამკვეთებისთვის დახმარების აღმოჩენა.

2. ასევე მოიხსენიება როგორც „ექსპერტი“ კოდექსსა და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს საერთაშორისო სტანდარტებში.

სპეციალისტის დახმარების დრო ხომ არ დადგა?

ბუღალტრებს ყოველთვის მოეთხოვებოდათ თავიანთი პროფესიული მოვალეობების კომპეტენტურად და გულმოდგინედ შესრულება. ეს მოთხოვნა მოიცავს სათანადო ზედამხედველობის გაწევას სხვებზეც, მათ შორის ვირტუალურ სამუშაო გარემოშიც. პანდემიის დინამიკური ბუნება იმას ნიშნავს, რომ ფაქტები და გარემოებები შეიძლება მოულოდნელად, უცებ შეიცვალოს. ამან, თავის მხრივ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეთიკის ისეთი ძირითადი პრინციპების დაცვას, რომლებიც თავდაპირველად არ იყო გააზრებული და განხილული, ან შეიძლება შეიცვალოს საფრთხეების დონეები, რომლებიც ბუღალტრმა ადრე გამოავლინა და შეაფასა. ამ ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ინფორმაციის საიმედოობაზე, ან წარმოქმნას დამატებითი განუსაზღვრელობები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბუღალტრების მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვანი საკითხების განსჯასა და გამოტანა დასკვნებზე, რომლებიც გამოიყენეს ფინანსური ინფორმაციის მომზადებასთან, წარდგენასა და მიმოხილვასთან დაკავშირებით და აუდიტის ჩატარებისას. ცვალებადი გარემოებების მიუხედავად, ბუღალტრებმა უნდა შეინარჩუნონ პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ისეთი დონე, რაც აუცილებელია თავიანთი დამსაქმებელი ორგანიზაციებისა და დამკვეთების სათანადო დონეზე მომსახურებისთვის. ბუღალტრებს შეიძლება დასჭირდეთ ასევე სპეციალისტის დაქირავება მოვალეობების კომპეტენტურად და გულმოდგინედ შესასრულებლად. მაგალითად:

- ეკონომისტების უნარ-ჩვევები და ცოდნა ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტრებსა და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებს, მათ შორის აუდიტორებს შეიძლება იმაში დაეხმაროს, რომ უფრო უკეთ გაიაზრონ ცვალებადი ეკონომიური გარემოს ან კოვიდ-19-ის გავლენით გამოწვეული საერთო გარემოფაქტორების ბუნება და ამ სიტუაციის პრაქტიკული გავლენა ორგანიზაციებსა და დამკვეთებზე;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ან თაღლითობის კვლევის სპეციალისტის გამოყენება შეიძლება ბუღალტრს ან ფირმას დაეხმაროს კოვიდ-19-ის გავლენით გამოწვეულ კიბერსაფრთხეებსა და თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენაში ან ამ საკითხებზე კონსულტაციების გაწევაში;
- საგადასახადო საკითხების კონსულტანტის გამოყენება შეიძლება აუცილებელი იყოს კოვიდ-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარების პროგრამებით გამოწვეული შედეგების განსაზღვრაში, როგორცაა სესხების პატიების გეგმები, სუბსიდიები, ან გრანტები (მაგ., აშშ-ის ხელფასების დაცვის პროგრამის (Paycheck Protection Program) სესხი).³

ამ დოკუმენტის განყოფილება „სპეციალისტების ჩართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში“ მოიცავს ისეთი სიტუაციების განხილვას, როდესაც ფირმას შეუძლია სპეციალისტის ჩართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას.



როდესაც გარემოებები იცვლება, შეიძლება აუცილებელი იყოს მოქმედება. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პროფესიონალ ბუღალტრებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალ ინფორმაციას და ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს, მათ შორის არსებული გარიგების, დავალების ან ამოცანის შესრულებისას. ეს ბუღალტრს დაეხმარება იმის დადგენაში, აუცილებელია თუ არა განსხვავებული რესურსების, ცოდნა და გამოცდილება.

იმისათვის, რომ ბუღალტრმა დაადგინოს სფეროები, სადაც შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სპეციალისტის გამოყენება, უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, მათ შორის აუდიტორებისთვის:

- ფიზიკურ პირს და არც მთელს ორგანიზაციას არ გააჩნია ისეთი უნარ-ჩვევები, ცოდნა ან გამოცდილება, რომელიც აუცილებელია კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენით შექმნილ გარემოში წარმოქმნილი ახალი საანგარიშგებო ან შესაბამისობის ვალდებულებების შესასრულებლად;
- რესურსების ადეკვატურობა, რომელიც საჭიროა კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის შედეგად გამოწვეულ უცაბედ ცვლილებებსა და განუსაზღვრელობებზე რეაგირებისთვის და ასევე დამატებითი დავალებებისა და პასუხისმგებლობებისთვის, რომლის შესრულება შეიძლება მოითხოვონ დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა ან დამკვეთებმა;
- პრაქტიკული იქნება თუ არა საჭიროებებზე (მაგ., რესურსებით უზრუნველყოფა და ზედამხედველობა) დაუყოვნებლივ რეაგირება, მზავრობასა და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებით დაწესებული ახლანდელი შეზღუდვების გათვალისწინებით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას აქვს თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ დისტანციურად მომუშავე გუნდებს აღმოუჩინონ ტექნიკური დახმარება;
- გაზრდილია თუ არა მაგალითად, თაღლითობასა და კიბერსაფრთხეებთან დაკავშირებული რისკები.

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, მათ შორის აუდიტორებისთვის:

- დამკვეთის მიერ კოვიდ-19-თან დაკავშირებული მოთხოვნის ბუნებამ ან გადაუდებლობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ფირმის უნარზე, დაეხმაროს არსებულ დამკვეთებს ან გაუმკლავდეს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც გავლენას ახდენს თვითონ ფირმის ბიზნესზე;
- ფირმის გათვითცნობიერება, ცოდნა და წვდომა სპეციფიკურ სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებსა და შესაბამის ინსტრუქციებზე, რომლებიც კოვიდ-19-თან არის დაკავშირებული (მაგ., დარგობრივი საინფორმაციო ბიულეტენები, ინსტრუქციები იმის შესახებ, როგორ გამოიყენება ან აღირიცხება სახელმწიფოს სტიმულირების პროგრამები) და მისი უნარი, დროულად მოახდინოს ამ ინფორმაციის სინთეზი და გავრცელება დამკვეთებთან მომუშავე გუნდებზე;
- ინფრასტრუქტურების, ინსტრუმენტებისა და იმ პირთა ხელმისაწვდომობა, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი და შესაფერისი გამოცდილება, ვირტუალურ გუნდებს ჩაუტარონ სწავლება და გაუწიონ მათ ზედამხედველობა.

3. ხელფასების დაცვის პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხი არის ერთ-ერთი სახის სახელმწიფო დახმარება, რომლის მიზანია, აშშ-ის საწარმოებს დაეხმაროს სამუშაო ძალის შენარჩუნებაში კოვიდ-19-ის პანდემიის დროს.

რისკის წინაშე დადგებით, თუ სპეციალისტს არ დაიქირავებთ?

შესაძლებელია, რომ თქვენმა დამკვეთებმა ან დამსაქმებელმა ორგანიზაციამ შეცვალონ თავისი მოთხოვნები ახლანდელი გარემოს გავლენით. მაგალითად, თუ თქვენ ხართ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტერი, აუდიტის დამკვეთმა შეიძლება გთხოვოთ გადასახადებთან დაკავშირებული დახმარება ისეთ სფეროში, რომელიც თქვენი ცოდნის არეალს სცილდება; ან თუ ხართ ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, თქვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიძლება გთხოვოთ სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოზე ზედამხედველობის გაწევა ისეთ სფეროში, რომლის შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება თქვენ არ გაქვთ. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი შეკითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა დაგეხმარებათ პოტენციურად რისკიანი სფეროების გამოვლენაში, რაც შეიძლება იმაზე მიგანიშნებდეთ, რომ აუცილებლად გჭირდებათ სპეციალისტის დახმარება:



- არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო შეიცვალოს დავალება ან მომსახურება, რომელსაც თქვენ ასრულებდით?
- შეძლებთ მოთხოვნილ საკითხზე მითითებების ან რეკომენდაციების დროულად მიცემას იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებლად დაგჭირდებათ საკითხის გამოკვლევა ან შესწავლა?
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული დავალების ან მომსახურების შესრულებას დაჩქარებულ/შეზღუდულ ვადებში ხომ არ ითხოვენ?
- შეძლებთ განგრძობითი პროფესიული განათლების ან განვითარების ისეთი კურსის გავლას, რაც აუცილებელია მოცემული დავალების ან მომსახურების კომპეტენტურად და დროულად შესასრულებლად?

• შეძლებთ დავალების ან პროფესიული მომსახურების კომპეტენტურად და გულმოდგინედ შესრულებას, ანდა ზედამხედველობის განხორციელებას სხვის მიერ შესრულებულ დავალებაზე ან მომსახურებაზე? კერძოდ:

- თქვენი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები საკმარისია იმისთვის, რომ შეძლოთ თქვენი დამსაქმებელი ორგანიზაციის ან დამკვეთების მომსახურება კოვიდ-19-ის გავლენით შექმნილ გარემოებებში?
- ფლობთ შესაფერის ინფორმაციას, რომელიც დაგეხმარებათ პროფესიული განსჯის საზრიანად და სათანადოდ განხორციელებაში, როდესაც გამოიყენებთ საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს?



კრიზისის პერიოდში/ქაოსურ სიტუაციაში პროფესიონალმა ბუღალტრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ პროფესიულ ეთიკასა და თავიანთ პასუხისმგებლობაზე, იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

ეთიკის სტანდარტების დარღვევების თავიდან აცილება

ახლანდელი გარემოს მოულოდნელი, ახალი გამოწვევების დასძლევად მუშაობისას შესაძლებელია მხედველობიდან გამოგრჩეთ ძირითადი პრინციპებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის აუცილებლობა. არსებობს რამდენიმე გზა ძირითადი პრინციპებისა და, შესაბამის შემთხვევებში, დამოუკიდებლობის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად:



- სათანადო ყურადღება დაუთმეთ აუდიტის დამკვეთებისგან მისაღებ გადავადებულ საზღაურს;
- იმოქმედეთ ობიექტურად, კეთილსინდისიერად და პატიოსნად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი ქმედების შედეგად საანგარიშგებო ინფორმაცია შეიძლება აღარ იყოს ხელსაყრელი;
- პროფესიული განსჯისას არ წახვიდეთ კომპრომისზე მიკერძოების, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვების მიზანშეუწონელი გავლენის გამო;
- დაიცავით პროფესიული და საქმიანი ურთიერთობის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. არ დაკავდეთ ისეთი საქმიანობით, რომელმაც შეიძლება შელახოს თქვენი პატიოსნება, ობიექტურობა ან პროფესიის კარგი რეპუტაცია

- დარწმუნდით, რომ თქვენც და თქვენი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებსაც გააჩნით საშუაოს შესასრულებლად აუცილებელი ცოდნა და ინსტრუმენტები
 - გააფართოვეთ ურთიერთობები/კონტაქტები და დიალოგი გარიგების გუნდის წევრებსა და ორგანიზაციის გუნდებს შორის, ასევე სათანადო დაინტერესებულ მხარეებთან;
 - შექმენით სპეციალური ცენტრები კოვიდ-19-ზე რეაგირებისთვის;
 - შეიმუშავეთ მითითებები/სახელმძღვანელოები, ინტერპრეტაციები და პრაქტიკული ინსტრუმენტები;
 - შეიმუშავეთ პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს კომპეტენტურობისა და უნარ-ჩვევების მიმართ დადგენილი მოთხოვნების გაძლიერებას/გამკაცრებას.
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ახალ ინფორმაციას და ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს, როდესაც მიმართავთ პროფესიულ განსჯას;
- გაითვალისწინეთ გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის პოზიცია;
- როდესაც დამკვეთებს ეხმარებით კოვიდ-19-ის გავლენით ბიზნესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში, დიდი ყურადღებით გააკონტროლეთ აუდიტის დამკვეთებისთვის გაწეული მომსახურებები, მათთვის მიცემული რჩევები და რეკომენდაციები, რათა თქვენს თავზე არ აიღოთ პასუხისმგებლობა ისეთი ფუნქციების შესრულებაზე, რომლებიც ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება.

i როდესაც აუდიტის დამკვეთები ითხოვენ კოვიდ-19-თან დაკავშირებული პრობლემების მართვაში

დახმარებას, მაგ., მოკლევადიანი პროგნოზების გამოთვლებში ან პერსპექტიული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში, ან შეფასების მომსახურების შესრულებას ითხოვენ, ფირმები ვალდებული არიან დაიცვან კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არამარწმუნებელი მომსახურების შესრულებას ეხება და არ შეასრულონ აკრძალული მომსახურება. სანამ დაეთანხმებიან ამა თუ ამგვარი მომსახურების შესრულებას, ფირმები უნდა დარწმუნდნენ, რომ მოთხოვნილი მომსახურება თუ ქმედება არ არის აკრძალული.



IESBA eCode-ის (ელექტრონული რესურსი) საძიებო ფუნქცია შეიძლება ფირმებს დაეხმაროს ისეთი ტიპის მომსახურებების მიმოხილვაში, რომელთა შესრულება აუდიტის დამკვეთისთვის შესაძლებელია ან არ არის შესაძლებელი.



მაუსის დაწკაპუნებით მარცხნივ შეძლებთ მიიღოთ მაღალი დონის კრებისითი ინფორმაცია აკრძალული მომსახურების, ინტერესების, ურთიერთობებისა და სხვა ქმედებების შესახებ, რომელიც ეხება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტს.

სპეციალისტების ჩართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში

არსებობს რამდენიმე გარემოება, რომლებიც, როგორც წესი, ერთობლიობაში იმაზე მიანიშნებს, რომ აუდიტზე გარიგების შესრულებისას აუცილებელია სპეციალისტის დახმარება:

- ფაქტები და გარემოებები, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია სპეციალური (ექსპერტული) ცოდნა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გარდა სხვა სფეროში;
- აუდიტორს არ გააჩნია ამ სფეროში აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება;
- აუდიტორი ვერ შეძლებს საკმარისი წარმოდგენის შექმნას იმ სფეროს შესახებ, რომლის აუდიტიც უნდა ჩატარდეს.

ახლანდელ გარემოში სააღრიცხვო შეფასებები ერთ-ერთი ისეთი სფეროა, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი, რომ საჭირო იქნება დამატებითი ცოდნა (ექსპერტული ცოდნა). წინათ შეიძლება თქვენ შეგეძლოთ სააღრიცხვო შეფასების მართებულობის შეფასება სპეციალისტის დახმარების გარეშე. მაგალითად, შეიძლება თქვენ სპეციალისტის დაუხმარებლად შეგეძლოთ რეალური ღირებულების გამოთვლებში გამოყენებული გარკვეული ამოსავალი მონაცემების შემოწმება, როგორცაა, მაგალითად მომავალი ფულადი ნაკადები ან დისკონტირების განაკვეთები (მაგ., დარგის საშუალო მაჩვენებლების ან სტატისტიკური კოეფიციენტების გამოყენებით).

თუმცა, ასეთ გაურკვეველ დროში დარგის საშუალო მაჩვენებლებმა ან სტატისტიკურმა შედეგებმა/მაჩვენებლებმა შეიძლება ადეკვატურად ვერ განამტკიცოს დაშვებების დასაბუთებულობა. ამ ნაშთების აუდიტის ჩასატარებლად შეიძლება აუცილებელი იყოს განსხვავებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება. სპეციალისტებს აუდიტორების დახმარება შეუძლიათ იმის შეფასებაში, ხელმძღვანელობამ სათანადოდ გაითვალისწინა თუ არა ახლანდელი ეკონომიკური გარემო და პირობები და, აქედან გამომდინარე, სამეურნეო სუბიექტთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტები და გარემოებები. გადაწყვეტილების მისაღებად იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა სპეციალისტის დახმარება ახლანდელ გარემოებებში, შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებული შეფასების განუსაზღვრელობის ხარისხი;
- ხომ არ არსებობს სხვა მოდელი, რომელიც განსხვავდება ადრე გამოყენებულისგან, ან ახლა ხომ არ გახდა შეუმღებელი ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც წინათ ადვილად იყო ხელმისაწვდომი ბაზარზე;

- ახლანდელ გარემოში უფრო ხომ არ გამწვანდა სააღრიცხვო მოთხოვნების დაცვა და, ამგვარად, ეს გავლენას ხომ არ ახდენს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მიხედვით სააღრიცხვო შეფასების გამოთვლაზე;
- პროფესიული განსჯის საჭიროება გამოყენებულ მონაცემებსა და დაშვებებთან მიმართებით, ბაზარზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით.

ნებისმიერი სპეციალისტის გამოყენებისას, თქვენ ყოველთვის მოგეთხოვებათ მისი კომპეტენტურობის, შესაძლებლობებისა და ობიექტურობის შეფასება სპეციალისტის სამუშაოს გამოყენების მიზნებისთვის, რისთვისაც უნდა გაითვალისწინოთ ამ სპეციალისტთან ადრინდელი მუშაობის გამოცდილება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნათელი წარმოდგენა გქონდეთ სპეციალისტის ექსპერტული ცოდნის სფეროს შესახებ, რათა შეძლოთ თქვენი აუდიტის მიზნებისთვის მისი სამუშაოს ადეკვატურობის შეფასება.

მართალია, სპეციალისტების გამოყენების შესახებ სპეციალური განცხადება არ კეთდება აუდიტორის დასკვნაში, მაგრამ ყურადღების გამახვილება იმ სფეროზე, რომლისთვისაც სპეციალისტი გამოიყენეთ, შეიძლება საჭიროდეს ინფორმაციის გამჟღავნებას დასკვნაში „აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილში, როდესაც აუდიტორის დასკვნა მოიცავს ამგვარ ნაწილს (მაგ., საფონდო ბირჟაზე კოტირებული სამეურნეო სუბიექტებისთვის), ვინაიდან აუდიტის ჩატარებისას ამ საკითხს დასაჭირდა აუდიტორის მნიშვნელოვანი ყურადღება. თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ „აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილში სპეციალისტის გამოყენების ფაქტზე მითითება.

სპეციალისტების გამოყენებისას მთავარია, წინასწარ, ადრეულ ეტაპზე დაიგეგმოს სპეციალისტების გამოყენება და მოხდეს მათი დაქირავება. დღეს სპეციალისტებზე მოთხოვნა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე; მათი გამოყენება საჭირო იქნება სხვა ტიპის გარიგებებშიც, რომლებშიც წინათ შეიძლება არ გამოიყენებოდა სპეციალისტის დახმარება, როგორცაა, მაგალითად ახალი ტიპის გარიგებები დაფინანსების ან შეღავათების პაკეტების შესახებ დასკვნის მომზადებაზე.



ფინანსური ანგარიშგების მიმართ ნდობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასტაბილურ, გაურკვეველ პერიოდებში.

გაიგეთ მეტი

კოვიდ-19-თან დაკავშირებულ რესურსებზე წვდომა ქვემოთ მოცემულ გამოსახულებებზე მასის დაწკაპუნებით



AICPA
Coronavirus (COVID-19)
Resource Center



IESBA
COVID-19: Ethics &
Independence Consideration



IAASB
Guidance for Auditors During the
Coronavirus Pandemic

სხვა საერთო რესურსები:

[IESBA Support and Resources IAASB](#)

[Support and Resources](#)

[International Standard on Auditing \(ISA\) 620,
Using the Work of an Auditor's Expert](#)

AICPA-ის შესახებ

ამერიკის სერტიფიცირებული საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების ინსტიტუტი არის მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი პროფესიული ასოციაცია, მსგ-ის წევრი. საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ ამ ინსტიტუტის სამსახურის ისტორია დაიწყო 1887 წლიდან. დღეს მას 431,000 ათასზე მეტი წევრი ჰყავს 130 ქვეყნიდან და რეგიონიდან, რომლებიც დასაქმებული არიან მრავალ სფეროში, მათ შორის ბიზნესსა (ორგანიზაციებში) და მრეწველობაში, სახელმწიფო სექტორში, საზოგადოებრივ პრაქტიკაში, განათლებასა და საკონსულტაციო მომსახურებაში.

IESBA-ის (ბესსს) შესახებ

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო არის ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი დამოუკიდებელი ორგანო. მისი მისიაა, ემსახუროს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას ეთიკის სტანდარტების, მათ შორის აუდიტორის დამოუკიდებლობის მოთხოვნების შემუშავებით, რომელიც ცდილობს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის შექმნას ეთიკური ქცევის პირობები, საიმედო, საერთაშორისო დონეზე გამოყენებადი, პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) მეშვეობით (კოდექსი).

IAASB-ის შესახებ

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IAASB) შეიმუშავებს სტანდარტებსა და მითითებებს აუდიტისა და სხვა მარწმუნებელი მომსახურებისთვის, რომლებსაც იყენებს ყველა პროფესიონალი ბუღალტერი. სტანდარტების დადგენა ხორციელდება საერთო პროცედურული პროცესის საფუძველზე და მოიცავს საზოგადოებრივი ინტერესების საზედამხებდევლო საბჭოს (PIOB) ჩართულობას, რომელიც მეთვალყურეობას უწევს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს საკონსულტაციო-მრჩეველთა ჯგუფის საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას ზემოაღნიშნული სტანდარტებისა და მითითებების შემუშავებისას.

საკონტაქტო ინფორმაცია

Toni T. Lee-Andrews, Director – Professional Ethics Division – Public Accounting, AICPA
toni.leeandrews@aicpa-cima.com

Ken Siong, Senior Technical Director, IESBA
kensiong@ethicsboard.org

Diane Jules, Deputy Director, IESBA
dianejules@ethicsboard.org

Willie Botha, Technical Director, IAASB
williebotha@iaasb.org

Beverley Bahlmann, Deputy Director, IAASB
beverleybahlmann@iaasb.org

AICPA, IESBA, IAASB და IFAC-სასუსს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

The International Code of Ethics for Professional Accountants™ (including International Independence Standards™) გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

International Standards on Auditing, International Standards on Assurance Engagements, International Standards on Review Engagements, International Standards on Related Services, International Standards on Quality Control, International Auditing Practice Notes და IAASB-ის სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

The 'American Institute of Certified Public Accountants', 'AICPA' და ლოგო AICPA AICPA-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნებია.

The 'International Ethics Standards Board for Accountants', 'International Code of Ethics for Professional Accountants (including International Independence Standards)', 'International Federation of Accountants', 'IESBA', 'IFAC', ლოგო IESBA და ლოგო IFAC IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

The 'International Auditing and Assurance Standards Board', 'International Standards on Auditing', 'International Standards on Review Engagements', 'International Standards on Related Services', 'International Standards on Quality Control', 'International Auditing Practice Notes', 'IAASB', 'ISA', 'ISAE', 'ISRE', 'ISRS', 'IAPN' და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.



www.ifac.org | | |



www.aicpa.org | | |



www.ethicsboard.org | | |



www.iaasb.org | | |

გამოცემულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ, 529 Fifth Avenue, New York, NY 10017

სავაჭრო უფლება © 2020 წლის ოქტომბერი, ეკუთვნის აშშ-ის სერტიფიცირებულ, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების ინსტიტუტს (AICPA) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC). ყველა უფლება დაცულია. თუ ეს დოკუმენტი არ გამოიყენება პირადი ან არაკომერციული მიზნებისთვის, ყველა სხვა შემთხვევაში ამ დოკუმენტის თარგმნის, გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია AICPA-სა და IFAC-ის წერილობითი ნებართვა. ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით მისამართზე permissions@ifac.org

International Ethics Standards Board for Accountants-ის წინამდებარე დოკუმენტი „სპეციალისტების გამოყენება კოვიდ-19-ის გარემოში“, რომელიც International Federation of Accountants (IFAC) ინგლისურ ენაზე გამოსცა 2020 წლის ოქტომბერში, ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2020 წლის ოქტომბერში და რეპროდუცირდება IFAC-ის ნებართვით. დოკუმენტის „სპეციალისტების გამოყენება კოვიდ-19-ის გარემოში“ - დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის გამოყენებას.

„სპეციალისტების გამოყენება კოვიდ-19-ის გარემოში“ დოკუმენტის ინგლისურენოვანი ტექსტი © 2020 წლის ოქტომბერი International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

„სპეციალისტების გამოყენება კოვიდ-19-ის გარემოში“ დოკუმენტის ქართულენოვანი ტექსტი © 2020 წლის ოქტომბერი. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: *Using Specialists in the COVID-19 Environment* (October 2020).

გამოსცა:



თარგმნა:

